



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ნომერი
(ქილავი)
№15 (373)
(5773)
2012

„מנורה“

עיתון יהודי

בגוריה

ბიძინა ივანიშვილი ისრაელის პრემიერ-მინისტრის ივანიშვილი ივანიშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა ივანიშვილი ივანიშვილი ისრაელის ელჩთან რონი ფუქსთან შეხვედრისას თქვა: „ქართველი ერი ღრმა მწუხარებას გამოხატავს ისრაელისა და პალესტინის ქვეყნების მშვიდობიანი მოქალაქეების დაღუპვის გამო. რაც შეიძლება სწრაფად უნდა განიმუხტოს სიტუაცია, რათა აღარ განმეორდეს ძალადობის ესკალაცია და აღდგეს მშვიდობა“.



ისრაელის ელჩი ბ-ნი იუვალ ფუქსი ასევე შეხვდა საქართველოს საგარეო მინისტრს ქალბატონ მანია ფანჯიჩიძეს და ესაუბრა „ჰამასის“ მიერ ისრაელის ტერიტორიის დაბომბვის თაობაზე და იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც ისრაელი ატარებს მშვიდობის მისაღწევად.

საქართველო-ისრაელის საზოგადოებრივი განცხადება

საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოებრივი განცხადება

მრავალტანჯული ისრაელის მიწაზე კვლავ შეშფოთება სუფევს. უფრო მეტიც, იღვრება მშვიდობიანი, უდანაშაულო ადამიანების სისხლი. 15 ნოემბერს ღამით თელ-ავივის შემოგარენიც კი დაიბომბა, ეს კი იწვევს ისრაელის საპასუხო დარტყმას, ისრაელს, ისე როგორც ნებისმიერ სახელმწიფოს, აქვს უფლება დაიცვას თავისი მოქალაქეების უშიშროება.

ჩვენ ძლიერ ვართ დაინტერესებული ისრაელში მშვიდობით. იქ ხომ ჩვენი ყოფილი თანამემამულეები, კოლეგები, ნათესავები ცხოვრობენ.

მოვუწოდებთ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც იარაღით ამარაგებენ „ჰამასს“, შესწყვიტონ სისხლისღვრისათვის ზრუნვა: მსოფლიოში ტერორისტად აღიარებული „ჰამასის“ ხელში ყოველი რაკეტა საფრთხეს უქმნის ისრაელის მოქალაქეების სიცოცხლეს.

„ჰამასს“ მოვუწოდებთ სცნოს ისრაელი, როგორც ებრაელი ერის ერთადერთი სახელმწიფო, შეწყვიტოს ისრაელის მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვა, რადგან სწორედ ეს იწვევს ძალადობის ესკალაციას.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ისრაელის ხელისუფლების ზრუნვას ქვეყნის მოსახლეობის დასაცავად.

საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების საახელით:

პრეზიდენტი — როინ მებრძევილი აკადემიკოსი,
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,
ვიცე-პრეზიდენტი — გურამ ბათიაშვილი მწერალი, სახელმწიფო
პრემიის ლაურეატი
16 ნოემბერი, 2012 წ.

მე ვარ ქართველი — მე ვარ ებრაელი

ისრაელის წინააღმდეგ მიმართულმა „ჰამასის“ ტერორისტულმა აქტებმა საქართველოს მოსახლეობაც შეაძრწუნა — „ჰამასი“ ცეცხლს უშენს ისრაელის მშვიდობიან მოსახლეობას, როგორც აშშ-ს პრეზი-

დენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, ისრაელს აქვს უფლება დაიცვას თავისი მოსახლეობა, ტერიტორია. ამიტომ ისრაელის საპასუხო ცეცხლიც არ აყოვნებს. ამ სულისკვეთებით გახლდათ გამსჭვალული 20 ნოემბერს თბილისში ბეით ქნესეთის მიმდებარე სკვერში გამართული ისრაელის მხარდამჭერი აქცია. აქცია, რომელიც გამართა ფონდმა „კეთილი ფონდი“ და ისრაელის ბიზნესპალატამ საქართველოში, დიდძალი ხალხი მოვიდა. აქ იყვნენ როგორც ქართველები, ასევე ებრაელები, ახალგაზრდები, ხანდაზმულები, ფრიალებდა საქართველოსა და ისრაელის დროშები. „კეთილი ფონდის“ წარმომადგენელმა დავით გაჩეჩილაძემ თავიდანვე მაჟორული განწყობილება შექმნა, როცა დაგმო ტერორიზმი და ერთმნიშვნელოვნად განაცხადა ისრაელისადმი მხარდაჭერა. მაგრამ როცა მან ასე დააკონკრეტა ხალხის სულისკვეთება: „მე ვარ ქართველი — მე ვარ ებრაელი“ შეკრებილებმა ერთხმად აიტაცეს მისი ფრაზა: „მე ვარ ქართველი — მე ვარ ებრაელი“.

ორატორი ორატორს ცვლიდა, საუბრობდნენ ისრაელის სამშვიდობო სულისკვეთებაზე, თანაგრძობას უცხადებდნენ იმ ქალაქების მოსახლეობას, რომელშიც „ჰამასის“ რაკეტები ცვივა, აკეთებდნენ ისრაელ-პალესტინის ურთიერთობის მცირე ანალიზსა და საბოლოო ჯამში ყველაფერი ისრაელისადმი სოლიდარობის, თანადგომის სულისკვეთებით იმსჭვალებოდა.

მომღერალი მომღერალს სცვლიდა, გამოჩენილი ქართველი ხელოვანები მხოლოდ ებრაულ სიმღერებს ასრულებდნენ, ბოძზე კი იდგა რაკეტის გადანაჭერი, აქციის ორგანიზატორთა ჩინებული მიგნება — გადაჭრილ რაკეტაში ყვავილები ჩაენყო. ეს „კეთილი ფონდის“ კეთილი ნების გამოხატულება ასურათხატებდა ებრაელი ხალხის სულისკვეთებას.



შრომა, საქმიე გაუსუნარი

ამას წინათ არიელის (ისრაელი) უნივერსიტეტის პროფესორი რეუვენ ენოხი საქართველოში ორ კვირას იმყოფებოდა, მან ლექციები წაიკითხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისა და დიალექტოლოგიის პრობლემების შესახებ. რეუვენ ენოხმა „მენორას“ მკითხველისთვისაც გამოიხატა დრო და თავისი მოღვაწეობის შესახებ ისაუბრა:

რეუვენ ენოხი: საქართველოში რუბენ ენუქაშვილად მიცნობდნენ. გახლავართ არიელის უნივერსიტეტის პროფესორი, კავკასიისა და ცენტრალურ აზიაში მცხოვრები ებრაული თემების შემსწავლელი ინსტიტუტის დირექტორი. ისრაელში არის რადიო „კოლ ისრაელი“, მე ამ რადიოს ქართულენოვანი გადაცემების ხელმძღვანელი გახლავართ, თუმცა, ჩემი თანამშრომელი მერი ამშიკაშვილი უფრო მეტს მუშაობს, რადგან, სამწუხაროდ, ჩემი დრო შედარებით შეზღუდულია.

— ბატონო რეუვენ, როდის გაემგზავრეთ საქართველოდან?

— საქართველოდან 20 წლის წინათ წავედი, ძალიან დიდხანს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვასწავლიდი, ასევე თამაზ კვაჭანტირაძესთან ერთად მიმყავდა ტელეკურსი აბიტურიენტებისთვის ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რომელსაც საზოგადოებრივი მაუწყებელი გადმოსცემდა. გადაცემის სერიისათვის თამაზმა რუსთაველის პრემია მიიღო და ძალიან მეამაყება, რომ თავის დროზე ამ გადაცემების მონაწილე მეც ვიყავი. როგორც ხუმრობით ამბობდნენ ხოლმე, საქართველოს ქართულ ენას ვასწავლიდი.

— როგორ განვითარდა თქვენი ცხოვრება ისრაელში?

— რომ გითხრათ ისრაელში თავის დამკვიდრება ძალიან ადვილი იყო მეთქი, არ ვიქნები მართალი, გარკვეული დრო წაიღო იმან, რომ ნორმალურად დავეუფლებოდი ენას. როგორც კი ჩავედი, ძალიან მალე დიდებულმა პიროვნებამ და ქართველი ებრაელების მოამაგემ ხაიმ ხუბელაშვილმა, რომელიც ისრაელში გამომავალი ქართულენოვანი ჟურნალ „დროშის“ რედაქტორი იყო, თავის მოადგილედ მიმინვია, შევუდექით იქ მუშაობას, ეს იყო 1993 წელს, შემდეგ 1995 წელს, იერუსალიმის უნივერსიტეტში, ტრუმენის სახელობის ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად დავინყე მუშაობა, სადაც 15 წელი ვავატარე. პოლიტოლოგიის დარგში ერთი პატარა წიგნიც გამოვეცი ინგლისურ ენაზე საქართველოს შესახებ სახელწოდებით: „ორმაგი სარკე: 1989-1991 წლების საქართველოს მდგომარეობის ასახვა საკავშირო და ქართულ პრესაში“. ფაქტურად მაშინ დაიწყო ის ყველაფერი, რასაც ახლა ვიძეოთ — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემები. საკავშირო პრესის წილი ძალიან დიდი იმამი, რომ ასეთი გადაკიდება არსებობს ქართველებსა და აფხაზებს ან ქართველებსა და ოსებს შორის. ბევრი სხვა ნაშრომიც დავწერე ტრუმენის ინსტიტუტში. ერთ-ერთი თურქი მეცხების პრობლემებს ეხებოდა. ძირითადად, ჩემი ნაშრომები საქართველოს თანამედროვე ისტორიას ასახავდა. 1996 წლიდან დავინყე მუშაობა რადიო „კოლ ისრაელის“ — „ისრაელის ხმის“ ქართულენოვან რედაქციაში. მალე ხაიმ ხუბელაშვილი გარდაიცვალა და საზოგადოების ერთმა ნაწილმა მთხოვა, რომ მისი საქმიანობა მე გამეგრძელებინა, ანუ ქართულენოვან ჟურნალ „დროშის“ რედაქტორი გაემხდარიყავი. ასეც მოხდა, აღნიშნული ჟურნალი იხილავდა ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელების ყოფის სხვადასხვა მხარეს. მაგრამ, სამწუხაროდ, 2003 წელს ეს ჟურნალი დაიხურა, დაფინანსება აღარ ჰქონდა, თან მეორე მომენტიც იყო: მის რედაქტორს აღარ ჰქონდა საკმარისი დრო, თორემ ბრძოლაც შეიძლებოდა.

1999 წლიდან მიმინვიეს არიელის უნივერსიტეტში, სადაც დღემდე ვმუშაობ. მივიღე პროფესორის წოდება. ჩემი მუშაობის პერიოდში სხვადასხვა კურსს ვკითხულობდი. ერთ-ერთია „ებრაული თემები ისრაელში: ყოფილი საბჭოთა კავშირის ებრაელები.“ აქ დიდი ადგილი უკავია საქართველოს ებრაელებს. ამ საკითხთან დაკავშირებით რიგი ნაშრომი გამოვეყვეყენე. ამას დავამატა მეორე



კურსი — სიონისტური მოძრაობა რუსეთის იმპერიასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში. აქაც არის საქართველოსთან დაკავშირებული საინტერესო მომენტები, დიდი ადგილი ეთმობა დავით ბაახოვს, ასევე 18 ქართველი ებრაელის წერილს. ისევე არსებობდა შეხების წერტილი საქართველოსთან, კავკასიისთან და ცენტრალურ აზიასთან. ამიტომ შემთხვევითი არ გახლდათ ის, რომ მე გახლდით კონსულტანტი მერაბ კოკოჩაშვილის და თქვენი გაზეთის რედაქტორის გურამ ბათიაშვილის შექმნილი ფილმისა „თუ დავივინყო, იერუსალიმი“. შემდეგი იყო ბიბლიის თარგმანების კურსი. მე ენათმეცნიერი ვარ, მთელი ცხოვრება ქართულს ვასწავლიდი, და ბიბლიის თარგმანები ჩემთვის, ასე ვთქვათ, ყველი და პური იყო. როდესაც უნივერსიტეტში პოზიციები გავიმყარე, ეს კურსიც შევიტანე, ძალიან მოთხოვნადი გახდა და უკვე რვა წელია გრძელდება. შემდეგ შემოვიღე კურსი, ჩემი მხრივ შეიძლება პრეტენზიულიც იყო, „ებრაული კულტურა და მეცნიერება ყოფილ საბჭოთა კავშირში“. ახლა უკვე აღარ ვკითხულობ, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ძალიან ბევრი კურსი დამიგროვდა და ველარ ვასწრებ. ამას გარდა, ჩვენთან არის მაგისტრატურა, მეორე საფეხურის სწავლება და იქ ვკითხულობ რამდენიმე საინტერესო კურსს, „კავკასიიდან ჩინეთამდე“ — ებრაული თემები კავკასიაში, ცენტრალურ აზიასა და ჩინეთში. ღვთის წყალობით, აქაც ბევრი მსმენელია. კიდევ ერთი კურსი, რომელსაც ვერ ვეღვი — ებრაელთა ენებია. სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტული ებრაელები იმ ქვეყნის ენებზე ლაპარაკობდნენ. მაგალითად, იდიში გერმანული ენის დიალექტი იყო, ესპანელი ებრაელების ენა — ლადინო. არაბულ ქვეყნებში მცხოვრები ებრაელები არაბული ებრაულით საუბრობდნენ. კავკასიელებს ჰქონდათ ტატური ებრაული. ასეთ ენებს უწოდებდნენ ებრაელთა ენებს. ქართველი ებრაელების მეტყველებაც განსხვავდება ტიპური ქართული მეტყველებისგან. ამ ენების შექმნის თეორიას ვკითხულობ. ამ ენებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამით ებრაელები ეროვნულობას ინარჩუნებდნენ, განცალკევდებოდნენ იმ ხალხებისგან, რომელთა შორისაც ცხოვრობდნენ. ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ ერთი მომენტი, ლოცვებს ებრაელები ყოველთვის ივრითზე კითხულობდნენ. დამატებითი ენები არ გამორიცხავდა მთავარი ენის მნიშვნელობას. მაქვს სემინარები, სადაც სხვადასხვა თემის სტუდენტები წარმოადგენენ მსჯელობას საკუთარი თემის ენების შესახებ.

რუსეთში არსებობს კავკასიის ებრაელთა დამხმარე ფონდი, მის სათავეშია კავკასიელი ებრაელი გერმან ზახარიაევი და მასთან ერთად სხვა თვალსაჩინო პიროვნებანი. მათ გადამწყვიტეს, რომ ერთ-ერთი მთავარი თემა უნდა გახდეს კავკასიელი ებრაელების შესწავლა, მოიძიეს, თუ სად იყვნენ ამ დარგის სპეციალისტები და ნახეს, რომ არიელის უნივერსიტეტში არის ებრაული მემკვიდრეობის განყოფილება და შეიძლებოდა, ამ უნივერსიტეტში შექმნილიყო ინსტიტუტი, რომელიც კავკასიელი ებრაელების კვლევას დაისახავდა მიზნად. მე კატეგორიული უარი ვთქვი ასეთი ინსტიტუტის დაარსებაზე, რადგან კავკასიელი ებრაელების კვ-

ლევა არ არის საკმარისი და მათთან ერთად უნდა განგვიხილა ქართველი ებრაელები და ცენტრალური აზიის ებრაელები. როდესაც ჩემი პროგრამა მიიღეს, მაშინ დავთანხმდი მის ხელმძღვანელობას. დიდი გეგმები გვაქვს, ვქმნით სამეცნიერო შრომების კრებულს, რომელიც ჩვენს ყველა საკვლევ სფეროს მოიცავს, მათ შორის საქართველოს ებრაელობასაც. 18 სტატია გვაქვს მიღებული, სარეცენზიოდაა გაგზავნილი და პასუხს ველოდებით. შეიძლება სპონსორებმა მაინც გადამწყვიტონ, რომ ფართო თემაა და ისევე მხოლოდ კავკასიელ ებრაელთა კვლევაზე შეჩერდნენ, ამ შემთხვევაში აღნიშნულ პროექტზე ალბათ უარს ვიტყვი.

ასევე გამოქვეყნდა რამდენიმე წიგნი ჩემი ავტორობით. ინგლისში გამოქვეყნდა ძალიან ცნობილი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, რომლის შექმნაში მეც ვიღებდი მონაწილეობას. მიმინვიეს და მთხოვეს წარმედგინა ქართველ ებრაელთა მეტყველების მასალა. ეს პირველი შემთხვევაა ქართული ენათმეცნიერების ისტორიაში, როდესაც ქართველ ებრაელთა მეტყველება რომელიმე ლექსიკონში შევიდა. საკმაოდ დიდი წიგნია. შესულია 150 000 სიტყვა. არის მისი ხელმეორედ გამოცემის ალბათობაც. ძალიან მეამაყება, ასეთ საქმეში რომ ვიღებდი მონაწილეობას. დიდი სურვილი მაქვს, ქართველ ებრაელთა მეტყველების ცალკე ლექსიკონი თავადაც გამოვეყვეყნო.

შემდეგ გამოვეცი ორი წიგნი: ქართველ ებრაელებს აქვთ თორის თარგმანი ქართულ ენაზე, რომელიც არ იყო ჩანერილი და თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა. მაგრამ ძირითადი ბირთვი, გარსი არ შეცვლილა. ეს თარგმანი პირველად შესრულებული იყო XI-XII საუკუნეებში. გამოვეცი „დაბადების წიგნი“, მისი სხვადასხვა ვარიანტი და მისი ლათინური ტრანსლიტერაცია, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია და ფაქტიურად წიგნი დახლებიდან გაქრა. შემდეგ მეორე ნაწილიც გამოვეცი, სადაც ამ გამოქვეყნებული ტექსტის გამოკვლევაა შესული.

საქართველოში გამოვიდა წიგნი სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი, რომელიც ლეილა ბარამიძესთან და ან განსვენებულ თეიმურაზ მეტრეველთან ერთად დავწერე, ეს არის ძალიან დიდი ფორმატის 600-გვერდიანი წიგნი. ამ წიგნმა პატრიარქის ლოცვა-კურთხევა მიიღო, რაც ძალიან მეამაყება, რადგან მას დიდ პატივს ვცემ როგორც პიროვნებას და ერის მამას.

როგორც მოგეხსენებათ, ებრაელთა დღესასწაულის ფესახის დროს კითხულობენ აგადას. ისეთივე ტრადიციული ზეპირი თარგმანი, როგორიც თორისაა, აგადისაც არსებობდა, მე მოვამზადე აგადის ტექსტი, რამდენიმე ვარიანტი და ახლა დასაბეჭდადაა გადაცემული.

ერთ სამუშაოს, რომელიც ასევე ძალიან მეამაყება, ვასრულებთ მეცნიერთა ჯგუფი ქუთაისის უნივერსიტეტიდან ავთანდილ ნიკოლაიშვილის ხელმძღვანელობით და ისრაელიდან მე და ჩემი მეგობარი მწერალი და მეცნიერი, პროფესორი ორციონ ბარათანა, ჩვენი ჯგუფი ქმნის წიგნს, რომელსაც ჰქვია „ქართულენოვანი ლიტერატურა ისრაელში“, წიგნი დასრულებულია და იმედია მალე იხილავს დღის სინათლეს.

მეამაყება ის სტატიები, რომლებიც ქართველ ებრაელთა მეტყველებას ეხება და გამოქვეყნდა როგორც ისრაელში, ასევე საქართველოში.

— ბატონო რეუვენ, ამჟამად რა მიზნით ხართ საქართველოში?

— საქართველოში სახელმწიფო უნივერსიტეტმა მომიწვია ლექციების წასაკითხად. 10 ლექცია უნდა წავიკითხო. თემაა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისა და დიალექტოლოგიის პრობლემები. ჩემი მსმენელები დოქტორანტები და მაგისტრანტები არიან. ვცდილობ ისეთ საკითხებზე ვისაუბრო, რომლებიც მათთვის უფრო ახალი შეიძლება იყოს. საქართველოში ორი კვირა დავრჩები.


რედაქციისაგან: როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, პროფესორი რუბენ ენოხი უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ისრაელის სახელმწიფო პრემიაზე წარადგინა. ვუსურვებთ წარმატებას!
ბეატლახა!

რუბრიკას უძღვება პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ეხიჯი თემა ქაითუე მნეხილობაში

სარგაი მესხი

(წერილი მაცხრა)



კაცად ჩაუთვლელობას, ყველა დაგვეთანხმება, რომ ამგვარი კანონი კეთილ ნაყოფს მოიტანს.

მიუხედავად იმისა, რომ ს. მესხის წერილებში იმ მანკიერებათა შესახებაცაა საუბარი, რითაც, მისი აზრით, ებრაელები სხვა ხალხისაგან განირჩეოდნენ, იგი, როგორც ჭეშმარიტი ჰუმანისტი, მაინც აქტიურად გამოდის მათი უფლებების დამცველ-მოსარჩლის როლში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეოდეს გაზეთ „დროების“ 1877 წლის 3 მარტის ნომერში დაბეჭდილ მის წერილს – „ქალაქის ურიების გადასახლება“, რომელიც ამის შემდეგ აღარსად გამოქვეყნებულა.

დასახელებული წერილით ს. მესხმა მკაცრად გაილაშქრა თბილისის პოლიცემისტერის მიერ მიღებული იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომლითაც იგი ქალაქიდან ებრაელთა გასახლება ისახავდა მიზნად. პოლიცემისტერის ეს გადაწყვეტილება იმ კანონს ემყარებოდა, რომელიც, ს. მესხის თქმით, რუსეთის იმპერიაში ებრაელებს ქალაქებში ცხოვრებას უკრძალავდათ. ამ ამბით დამფრთხალმა ებრაელებმა თხოვნით მიმართეს თბილისის მმართველობას, რის შედეგადაც პოლიცემისტერის სურვილი ჩაიფუშა.

ს. მესხი სპეციალური წერილით გამოეხმაურა ამ მოვლენას და ებრაელებისადმი ამგვარი დამოკიდებულება „დიდ უსამართლობად და შეუბრალებლობად“ შეაფასა. მისი აზრით, ებრაელთა ასეთ დევნა-შევიწროებას არანაირი გამართლება არ შეიძლება ჰქონოდა, ვინაიდან მსოფლიოს ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, როგორებიც საფრანგეთი, შვეიცარია და ამერიკა იყო, ებრაელებს სრულიად შეუზღუდავი მოქალაქეობრივი უფლებები ჰქონდათ მინიჭებული. ამ ქვეყნების ხელისუფალთა მიერ გატარებული ამგვარი პოლიტიკის შედეგად „იქაური ურიები თავის ცხოვრებითა და ხასიათით არ განირჩეოდნენ დანარჩენ ხალხებისაგან: იმათ იქ წურბელებად როდი სთვლიდნენ“.

ს. მესხი კმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ბოლო ხანს რუსეთის ხელისუფლებაც

ცდილობდა ამ გზას დადგომოდა და „რუსეთის ურიებისთვისაც მიენიჭებინა ის უფლება, რაც დანარჩენ რუსებსა ჰქონდათ“.

ებრაელთა აქტიურ მოსარჩლედ ს. მესხი 1878 წელს დანერგილი მეორე წერილითაც მოგვევლინა – „ურიების დევნა იმერეთში“. მიუხედავად იმისა, რომ ავტორისეული მსჯელობა შიგადაშიგ არც ტენდენციური მსჯელობებისაგანაა დაზღვეული, დასახელებული წერილის უმთავრეს მიზანსწრაფვას მაინც მოქალაქეობრივად შევიწროებული ებრაელების უფლებათა აქტიური დაცვა წარმოადგენს.

როგორც ითქვა, ს. მესხი აქტიურად უჭერდა მხარს ებრაელებისათვის მოქალაქეობრივი თანაბარუფლებიანობის მინიჭებას, რაც, მისი აზრით, არსებითად შეცვლიდა ამ ხალხის ადამიანურ ბუნებასა და ხასიათს. „თუ ებრაელს, – წერდა, მაგალითად, ერთგან იგი, – მოქალაქის უფლება ექნება მინიჭებული, თუ კანონი და ხალხი ისე შეხედავს, როგორც ადამიანს, დარწმუნებული იყავით, რომ დროს განმავლობით ისიც კანონიერს და კაცურს გზას დაადგება.“

ამის მაგალითად ს. მესხს საფრანგეთი მოჰყავს, სადაც ებრაელს „ყველა ის პოლიტიკური, სოციალური და სხვა უფლება ჰქონდა კანონით მინიჭებული, რაც ნამდვილ ფრანგებსა, რის გამოც იქაური ებრაელები ფრანგებისაგან არც ხასიათით განსხვავდებოდნენ, არც პატიოსნებითა და თითქმის არც გარეგანის შეხედულებებით“.

ს. მესხი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ თუ ჩვენშიც ებრაელების მიმართ ანალოგიურ დამოკიდებულებას გამოვიჩინდით, ებრაელების ცხოვრება არსებითად და რადიკალურად შეიცვლებოდა და „ჩვენ თუ არა ჩვენი შვილები და შვილისშვილები მაინც მოესწრებოდნენ იმ დროს, როდესაც ებრაელები ისეთივე თანა-მოქალაქენი და თანა-მოძმენი შეიქნებოდნენ ქრისტიანებისა, როგორც ჩვენა ვართ ერთმანეთში“. ამის აუცილებელ პირობად ს. მესხს ებრაელთა სრული მოქალაქეობრივი თავისუფლება და ხელშეუხებლობა მიაჩნდა.

ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის შესწავლის დროს რამდენიმე სიტყვა ამ საკითხისადმი XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის, გაზეთ „დროების“ რედაქტორის სერგეი მესხის (1845-1883 წწ.) დამოკიდებულების შესახებაც უნდა ითქვას. მართალია, ს. მესხი აღნიშნული საკითხით განსაკუთრებულ დაინტერესებას არ იჩენდა, მაგრამ იგი მასთან დაკავშირებითაც გამოთქვამდა საგულისხმო მოსაზრებებს.

მსგავსად XIX საუკუნის მეორე ნახევრის ჩვენი დიდი მამულიშვილებისა, ს. მესხიც დიდ ადამიანურ თანადგომას ავლენს რუსეთის იმპერიაში ეროვნულადაც და სოციალურადაც იმხანად საკმაოდ შევიწროებული და დამცირებული ამ ხალხის მიმართ. იგი კმაყოფილებით შეხვდა რუსეთის ხელისუფლების განზრახვას იმ კანონის მომზადების შესახებ, რომლის ძალითაც ებრაელებს რუსეთის ყველა გუბერნიაში დასახლებისა და ცხოვრების თავისუფალი უფლება მიეცემოდათ.

ხელისუფლების ამ განზრახვას ს. მესხი ამ სიტყვებით გამოეხმაურა: „ყველა, ვინც ეხლანდელი ებრაელების მდგომარეობა იცის, ვისაც ესმის – თუ რა ცუდი შედეგები და ზემოქმედება აქვს თვით ქრისტიანებისათვის იმ შევიწროვებას და დევნას, რომელსაც ებრაელები ითმენენ, ვინც ხედავს, რა მოსდევს ჩვენგან ებრაელების თითქმის

საქართველოს აზრანობის საუბრადღობო!

ყოველი ღლე გვანახლოვებს ფასახს – ებრაელთა ცყვეობიდან გათავისუფლები ღლეს. თბილისის ღიღი ბაით ქნესათის გამბეობა ამთავითვე ინყებს საფასახო სამზადისს. გამბეობა მიმართავს ჯანათის წევრებს: ბაით ქნესათში ღროულად წარმოდბინეთ განაცხადი იმის თაობაზე, თუ რომელ ოჯახს რამღენი კილობრაბი მასა ღაჭირღება. თუ თქვენ განაცხადს ღაყოვნებთ, ღაყოვნღება საჯანათო საქმა!

თბილისის ქართველ ებრაელთა ბაით ქნესათის გამბეობა

ბრიგორი პირელმანს აკადემიის წევრად მისი ნებართვის გარეშე აირჩევენ

მათემატიკოსს, რომელმაც პირველად დაამტკიცა პუანკარეს ჰიპოთეზა, გრიგორი პელერმანს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრის კანდიდატად წარადგენენ - იცყობინება infportal.ru პელერმანის კანდიდატურა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ლუდვიგ ფადეევმა წარადგინა, მას მხარი დაუჭირა ყველა 20-მა წევრმა. კანდიდატის წარდგენა შეუძლიათ სამეცნიერო საბჭოს და აკადემიის წევრებს არანაკლებ ორი ადამიანისა, მაგრამ არა თავად კანდიდატს. პეტერბურგელ მათემატიკოსს, რომელიც ჩაკეტილი ცხოვრების წესითაა ცნობილი, შეატყობინეს წარდგენის შესახებ, თუმცა, მისი რეაქცია ამ საკითხთან დაკავშირებით უცნობია.

1990-იანი წლების შუა პერიოდში პელერმანმა რამდენიმე სამეცნიერო ჯილდოს მიღებაზე თქვა უარი, მათ შორის იყო საერთაშორისო პრემია „ფილდის მედალი“ 2006 წელს. 2010 წლის მარტში კლეს მათემატიკურმა ინსტიტუტმა გრიგორი პერელმანს 1 მილიონის რაოდენობის პრემია მიანიჭა პუანკარის ჰიპოთეზის დამტკიცებისთვის, მაგრამ მეცნიერმა მასზე უარი თქვა.

არჩევნები რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში 21 დეკემბერს შედგება. წესის მიხედვით კანდიდატმა თანხმობა წერილობით უნდა განაცხადოს, მაგრამ აკადემიკოსები თვლიან, რომ პელერმანის არჩევას ამ ფორმალობის გარეშეც შეძლებენ.

საქართველოს ეკრაელოგა. წარსულიდან მომავლისაკენ

საქართველოს ეკრაელთა მსოფლიო კონგრესის შიშის ათი წლისთავისათვის

(დასაწყისი „მ“ №14)

ბურამ ბათიაშვილი

სანკტ-პეტერბურგიდან თელ-ავივში

სანკტ-პეტერბურგი დავტოვეთ, მაგრამ მიხი მირილაშვილთან, თამაზ სეფიაშვილთან მქონდა სატელეფონო კავშირი — გვეწავდა თელ-ავივში იდენის პრეზენტაციაზე კარგად მომზადებული ჩავსულებით, იგი მასშტაბური ყოფილიყო და კონგრესის შექმნის თაობაზე ინფორმაცია ქართველი ეკრაელობის განსახლების ყოველი თემისათვის გამხდარიყო ხელმისაწვდომი. ნიუ-იორკიდან მოვიწვიეთ თემურ იოსებაშვილი — ამ ქალაქში დასახლებული ჩვენი მოძმეების ერთ-ერთი ჩინებული წარმომადგენელი, ვამინგტონიდან — ნოდარ ჯინი (ჯინჯინაშვილი) — ნოდარი ქართველი ეკრაელობის ერთ-ერთი ღირსეული, საინტერესო ინტელექტუალად მიმჩნედა და ასეც იყო. მისმა ორმა რომანმა „ჩემი თვითმკვლელობის ისტორია“ და „მასწავლებელი“ ღრმა შთაბეჭდილება დატოვა, ბელგიიდან მოვიპატიჟეთ ი. ბაბალაშვილი.

მთავარი კი მომავალი კონგრესის ფინანსური უზრუნველყოფა გახლდათ, ცხადია, ჩვენ — სანკტ-პეტერბურგში შექმნილი საორგანიზაციო კომიტეტი, ამ მიმართულებით ბევრ ვერაფერს გავაწყობდით, ეს საქმე თავს იდო თავად მიხი მირილაშვილმა. ის დაელაპარაკებოდა ქართველ ეკრაელ ბიზნესმენებს, ადამიანებს, რომლებიც ამ დიდებული წამონყების ფინანსურ უზრუნველყოფას მოისურვებდნენ. 2001 წლის 14 იანვარს თელ-ავივში მოვიყარეთ თავი. სასტუმრო „დევიდ-ინტერკონტინენტალი“ მიხი გახარებული შემხვდა:

— კონგრესის გენერალური დირექტორობისათვის ორი ძალიან კარგი პიროვნება შევარჩიე. ორი კარგი ახალგაზრდა გამაცნეს: იციკ მოშე და მენახემ ელაზარი. ძალიან კარგად აზროვნებდნენ.

ამ ცნობამ ძალიან გამახარა, ორივეს ცხადია, კარგად ვიცნობდი, ვიცოდი მათი აზროვნების სტილი და მივიჩნიე, რომ საქმე კარგად იწყებოდა.

15 იანვარს შაბათი ცურის 50 წლისთავი აღნიშნა, აშქელონში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ყველაზე ღირსშესანიშნავი, რაც აქ იყო, გახლდათ არიელ შარონი.

მოგეხსენებათ, არიელ შარონის მშობლები მეოცე საუკუნის ოციან წლებში თბილისიდან დაადგნენ ისრაელის გზას. ქართულ სამყაროს მათ ოჯახში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა მიჩნეული, აქედან გამომდინარე, არიელ შარონს ქართველი ეკრაელობის დიდი პატივისცემა ახასიათებდა, მეგობრობდა მათთან. ძლიერ უყვარდა ქართული სამზარეულო, ეს იმ საღამოსაც კარგად გამოჩნდა, გემრიელ ქართულ კერძებს ეტანებოდა. საღამო ნინო აბესაძეს ცოცხლად მიჰყავდა.

ეს სადღესასწაულო სუფრა არაფრით განსხვავდებოდა დასავლეთ საქართველოში ჩემს ყმანვილკაცობაში ნანახი ებრაული ქორნილებისა თუ ნათლობებისაგან (იმ წლებში ჩვენი ხალხი დაბადების დღეებს არ იხდიდა, ალბათ, იყო მცირე გამოჩაქვნილი, მაგრამ ჩვენს კუთხეში ასეთი რამ არ მსმენია) და სხვაგვარი წვეულებებისაგან, ამიტომ ჩემში გამქრალი, დაკარგული წარსულის სიყვარულს აღვივებდა.

და აი, 16 იანვარიც — თელ-ავივის, მართლაც ფეშენებელური სასტუმრო „დევიდ-ინტერკონტინენტალი“. აქ თავს იყრიან რუსეთიდან, აშშ-დან, საქართველოდან, ბელგიიდან, ავსტრიიდან ჩამოსული ეკრაელები. ცხადია, აქ არიან თავად ისრაელში მცხოვრები ქართველი ეკრაელები.

მინდა კვლავ დოკუმენტაციას მივმართო. მთლიანად მოვიყვანე 2001 წლის გაზეთ „მენორაში“ №3 დაბეჭდილ ინფორმაციას „დევიდ-ინტერკონტინენტალი“ გამართული ღონისძიების თაობაზე.

შხხედა „დევიდ-ინტერკონტინენტალი“

შეხვედრა 16 იანვარს თელ-ავივში სასტუმრო „ინტერკონტინენტალი“ გაიმართა, ცხადია, მას შემდეგ, რაც ჩატარდა მცირე მოსამზადებელი სამუშაო. მოსამზადებელი სამუშაო კი გულისხმობდა სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტული ქართველ ეკრაელთა წარმომადგენლების თელ-ავივში მიწვევას.

„დევიდ ინტერკონტინენტალი“ 16 იანვრის შეხვედრას ერთი მიზანი ჰქონდა, სანკტ-პეტერბურგის ფორუმის საჯაროდ გახსნა, იდეის პრეზენტაცია. სანკტ-პეტერბურგის დიდი სალონის თაყვანისმირის მოადგილემ თამაზ სეფიაშვილმა შეკრებილ საზოგადოებას წარმოუდგინა მიხიელ მიწილაშვილი. მის მიწილაშვილმა კი ვრცლად ისაუბრა სანკტ-პეტერბურგის ფორუმის გადსწავლას.

ვევტილებას, იმაზე, თუ რა მიზანს ისახავს ქართველ (შემდეგ საორგანიზაციო ჯგუფის სტრუქტურაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ შეიქმნას არა ქართველ, არამედ საქართველოს ეკრაელთა კონგრესი) ებრაელთა კონგრესის შექმნა. იდეას ერთხმად დაუჭირეს მხარი. ეს კარგად იგრძნობოდა სოსო ბარდანაშვილის (ისრაელი), აარონ ხენის (აშშ), გურამ ბათიაშვილის, ჯემალ აჯაიშვილის (საქართველო), შაბთაი ცურის, რუბენ ენოხის, აბრამ სეფიაშვილის (ისრაელი), სოდან ჯინის (ჯინჯინაშვილის — აშშ), იციკ ბანაის (ბელგია) გამოხატვებში. ამით გარდა, იდეის პრეზენტაციაზე მოწვეულნი გახლდნენ ა. ბაბალაშვილი (ბელგია), თემურ იოსებაშვილი (აშშ) და სხვ.

იდეის პრეზენტაციაში წარმატებით ჩაიარა, დაიწყო ყოველდღიური სამუშაო, საორგანიზაციო ჯგუფის წევრებს გადაეცათ დებულების მოხსენა, საორგანიზაციო ჯგუფის სხვა წევრებიც მუშაობდნენ დებულებას, მოგვიანებით დებულებათა პროექტები შეჯერდებოდა და ერთობისათვის შემუშავდება საბოლოო ვარიანტი.

ყოველი გამოსვლა საინტერესო გახლდათ, მაგრამ მთავარი მაინც იყო, აი რა: ორატორები გამოსთქვამდნენ სიხარულს იმის გამო, რომ ქართველი ეკრაელობის საზოგადოებრივი ყოფა სრულიად ახალ საფეხურზე ადიოდა, ყველა ხედავდა, ქართველი ეკრაელობის ნიაღში იზადებოდა სიხალე, რომელსაც საერთაშორისო ებრაულ ასპარეზზე იგი სრულიად ახალ გრადაციამ უნდა წარმოედგინა.

ერთ გამომსვლელს მაინც გამოვაცალკეებდი — ეს გახლდათ ნოდარ ჯინი. ნოდარის გამოსვლამ მომხიბლა. იგი მისთვის დამახასიათებელი, დამაჯერებლობით, ცხადია, სისტემური აზროვნებით, ადასტურებდა მიხი მირილაშვილის იდეის პერსპექტივულობას, ჩვენ კი, მის მსმენელებს, საკუთარი თავის რწმენას გვმატებდა: „რასაკვირველია, ქართველ ეკრაელობაში არის დიდი ინტელექტუალური პოტენციალი და თუ ჩვენ ამ იდეას განვხორციელებთ, შევქმნით სრულყოფილ სტრუქტურას, ქართველ ეკრაელობას მსოფლიო ეკრაელობის მოძრაობის კონტექსტში მოვაქცევთ!“

არ შემიძლია გვეურო ერთ გარემოებას: იქნებ, ვინმემ დამძრახოს კიდევ, ეს საკითხი აქ რა გამოსატანი იყო, მაგრამ ამის გამო, იმდენჯერ მიგრძენია გულისტკივილი, რომ შეუძლებელია ყურადღება არ გავამახვილო: საქართველოს ეკრაელობა არ არის მრავალრიცხოვანი, ვიდრე იგი საქართველოში ცხოვრობდა 85-90 ათასსაც არ აღემატებოდა (ეს იმათი ჩათვლით, ვისაც ერცხვინებოდა პასპორტში მეხუთე გრაფა სწორად შეევსო და თავისი ეკრაელობა არ დაემალა. ასეთი კი არც ისე ცოტა იყო). ჩვენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგვინია ცხოვრება და ბუნებრივია, ვატარებდით იმ კუთხის მოსახლეობის ნიშან-თვისებებს, რომელშიც ვიზრდებოდით. ქართლის რაიონებში მცხოვრებნი ქართლის მოსახლეობისას, იმერეთში მცხოვრებნი — იმერელისას, სამეგრელოში მცხოვრებნი — ოდიშელებისას და ასე შემდეგ, მაგრამ მე მაინც მიუღებლად მიმჩნედა და მიმჩნია, როცა ქართველ ეკრაელობას კუთხეების მიხედვით განიხილავენ. ეს ტენდენცია იმ საღამოსაც გამოკრთა. ერთ-ერთი ორატორი გვიმტკიცებდა ქუთაისის ეკრაელობას დიდი წვლილი აქვს საქართველოს ეკრაელობაში და ეს კონგრესის სტრუქტურებშიც უნდა აისახოსო. ეს კაცი ფეოდალიზმის ხანაში გვაბრუნებდა — ამ ორატორის გამოსვლა იმდენად არასერიოზული და იუმორის აღმძვრელიც კი იყო, მსმენელნი ცოტა გაახალისა კიდევ, მსმენელთა გახალისებამ კი ორატორი გააღიზიანა. მომავალი კონგრესის სტრუქტურის ამ კუთხით დანახვა გახლდათ გამოძახილი მოარული შეძახილისა: „ოჰ, კიდევ ერთი კულამელი!“ გამიგონია, ეფრამი გურის ისრაელის ქნესეთის ნევრად არჩევა ზოგიერთი შეზღუდულად მოაზროვნე ადამიანისათვის გაღიზიანების მიზეზი გახდა: „რატომ მაინცდამაინც კულამელი?“ ეს სენი ერთხანს მოგვყვებოდა, ამჯერად კარგად გამოჩნდა, რასაკვირველია, კულამელთა აქტიურობა, საკმაოდ ცხადი გახლდათ და კვლავაც გახლავთ, მაგრამ განა ქუთაისელი თუ ახალციხელი, ცხინვალელი თუ ვანელი ეკრაელობა ნაკლებ ღირსეულად წარმოჩენილია საზოგადო ასპარეზზე?

ისევ კონგრესის იდეის პრეზენტაციის დღეებს უნდა მივუბრუნდე: 17 იანვარს მიხი მირილაშვილმა კვლავ შეგვიკრიბა. ამჯერად სუფრის გარშემო. იმ დროს იაფოში ერთობ პოპულარული რესტორანი „იციკ გადოლი“ არსებობდა (ქართულად „დიდი იციკი“ ითქმის.) ამ რესტორანში ძალიან გემრიელ

კერძებს ამზადებდნენ, ამიტომ სახელგანთქმულიც გახლდათ. თითქოს სუფრა, ქეიფი არ უნდა იყოს მნიშვნელოვანი ეპიზოდი კონგრესის შექმნის გზაზე და ამდენად მასზე არც უნდა ვამახვილებდე ყურადღებას, მაგრამ ქართულმა ყოფითმა კულტურამ ჩვენში ჩამოაყალიბა გონივრული სიტყვის, სადღეგრძელოს კულტი და სამართლიანად მოგვწონს ამ ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები. ამიტომ მინდა შევეჩერდე იმ საღამოზე.

ყველანი შევიკრიბეთ — საორგანიზაციო ჯგუფის წევრებიც და იდეის პრეზენტაციაზე სტუმრად ჩამოსულნიც. სუფრას მიხი მირილაშვილი უძღვებოდა. ახლა უკვე ვინრო ნრეში მკაფიოდ გამოჩნდა: ქართველ ეკრაელობას დიდი ნახტომის წინააღმდეგეა, ქართველ ეკრაელობაში უნდა დამდგარიყო დღე, უნდა შექმნილიყო სტრუქტურა, რომელიც გააერთიანებდა, როგორც ახალ დიასპორას, ისე ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებულთ. თუ ჩვენი დიასპორა აქამდე საქართველოში იყო, თუ აქამდე ჩვენ ერთ პატარა ტოლერანტულ ქვეყანაში — საქართველოში — ვცხოვრობდით, აქ აღვიზარდეთ, ქართული ყოფით, კულტურით გახლდით ნასაზრდოები და ამ ნიშან-თვისებებს ვატარებდით, დღეს სრულიად სხვა რეალობა შეიქმნა — ნაცვლად იმისა, რომ საქართველოდან აყრილთ ისრაელის მიწაზე დაგვედო ბინა, ლამის მთელს ევროპაში, აშშ-ში განვსახლდით. გეოგრაფია ვრცელი გახლავთ: ავსტრია, ბელგია, რუსეთი, აშშ, ესპანეთი. ცხადია, გარემო აყალიბებს ადამიანის ბუნებას, გარკვეულწილად ადამიანი გარემოს პროდუქტია, ამიტომ კონგრესი უნდა ყოფილიყო ის თბილი სახლი, რომელშიც ადამიანი მომქნცველი შრომის შემდეგ თავის კერას უზრუნველავდა და თავის მარადიულ სამშობლოს — ისრაელთანაც არ წყვეტს კავშირს.

ღვინის სმა ერთობ თავშეკავებული იყო. უფრო მეტად, აზრთა გაზიარება მომავალი კონგრესის აკარგზე მსჯელობა, იმ საღამოს კიდევ ერთხელ გამოჩნდა, თუ რაოდენ საინტერესო პიროვნება გახლდათ ნოდარ ჯინი.

სამიოდ დღის შემდეგ — 21 იანვარს საორგანიზაციო ჯგუფის წევრები ჰერცელიაში, სასტუმრო „დანიელი“ შევიკრიბეთ. აქ უკვე გაცხადდა, რომ მიხი მირილაშვილმა საბოლოო არჩევანი გააკეთა და გენერალურ დირექტორად მენახემ ელაზარი შეარჩია. გარდა საორგანიზაციო ჯგუფის წევრებისა, სწორედ ის ესწრებოდა ჩვენს სხდომას და ეს ადასტურებდა მიხი მირილაშვილის არჩევანს. ეს კი საორგანიზაციო ჯგუფის ზოგი წევრისათვის არცთუ ხელსაყრელი აღმოჩნდა.

ამ არჩევანისადმი მათ ნეგატიური დამოკიდებულება გამოავლინეს, რაც ჩვენს გაკვირვებას იწვევდა. მენახემი რამდენიმე წელიწადი თბილისში მუშაობდა. იგი იყო „ჯოინთის“ წარმომადგენელი კავკასიაში და თავი გამოიჩინა, როგორც ერთობ კეთილსინდისიერმა, ენერგიულმა პიროვნებამ. მას უყვარდა საქართველო, მისი ეკრაელობა და ერთგულად ემსახურებოდა. ამიტომ ჯემალიც და მეც ერთობ დადებითად ვეკიდებოდით მის კანდიდატურას. კამათში არ ჩავრეულვართ. დამამახსოვრდა მენახემ ელაზარის ერთი რეპლიკა, რომელიც ოპონენტს უთხრა („შენ მე ამ საღამოს იმდენი დრო დამითმე, მნიშვნელოვან ფიგურად მაქციე“) სიტუაციას ცხადია, მიხი მირილაშვილი წარმართავდა, ძლიერ დადებით როლს თამაშობდა ზემოთ ხსენებული დავით ქოენი. როდესაც საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი წევრი გაცხარდებოდა და სხდომის დატოვებას დააპირებდა, სწორედ იგი ამშვიდებდა სიტუაციას, გამოიკვეთა არასასიამოვნო ტენდენცია: იწყებოდა ბრძოლა კონგრესში გავლენის სფეროებისათვის, ცხადი გახდა, რომ ახლავე ეყრებოდა საფუძველი იმას, თუ ვისი სიტყვა, პოზიცია იქნებოდა მნიშვნელოვანი კონგრესის ყოველდღიურობაში. ამ საღამოს დავინახე ის, რაზეც აქამდეც არაერთხელ მსმენია: ისრაელის ქართველ ეკრაელობაში გაათრებული ბრძოლა მიმდინარეობს პირველობისათვის, ერთმანეთს სასამართლოშიც კი უჩივიანო. იმ წლებში ჩვენთვის — საქართველოში მცხოვრები ეკრაელობისათვის — ურთიერთობის ასეთი ფორმა უცნობი იყო (რა ვიცოდი, როგორ ვიფიქრებდი, თუ ეს სენი ჩვენც მალე დაგვრევდა ხელს!) კამათის საგანი გახდა ის, თუ როგორი წესით უნდა მომხდარიყო პრეზიდენტის, ხელმძღვანელი ორგანოების არჩევა. აბრამ საპირი ფართო, მასიური დემოკრატიული

არჩევნების აუცილებლობას მიიჩნევდა უმთავრეს პირობად, იყო მეორე მოსაზრება, რომელიც ემყარებოდა მსოფლიოს ებრაულობის გამოცდილებას: ამგვარი კონგრესის პრეზიდენტის, ხელმძღვანელი პირების არჩევა შედარებით ვიწრო წრეში, დამფუძნებელთა და დამფინანსებელთა პრეროგატივაა და არა ფართო მასებისა. დამფინანსებლები კონგრესში შეტანილი თავიანთი ფინანსების მართვის უფლებას გადასცემენ ერთ-ერთ დამფინანსებელს, უმეტესწილად მას, ვისი შენარული თანხის წილიც საკმაოდ სოლიდურია. უნდა შევთანხმდეთ: ამა თუ იმ ბიზნესმენს აქვს სურვილი დიდი თანხა გაიღოს იმისათვის, რომ წაადგეს ეროვნული პროექტების დაფინანსებას და თავისი ავტორიტეტით ამ საქმეში აბამს კოლეგა ბიზნესმენებს, ცხადია, პირველი სიტყვა მას ეუთვნის. ე.ი. მან არა მხოლოდ ის იცის, როგორ იმოქმედოს, დააგროვოს, არამედ ისიც – დაგროვილი კაპიტალი რას, როგორ მოახმაროს. ეს კი მერწმუნეთ, განსაკუთრებული ნიჭია და ამ ნიჭით ბევრი როდია დაჯილდოებული.

კამათი გვიან ლამემდეგ გაგრძელდა. საკითხი, ცხადია, არ ამონურულა, არც ამოიწურებოდა, რადგან ორივე მხარეს გააჩნდა თავისი არგუმენტები, და საკითხი კვლავდაკვლავ განსჯას მოითხოვდა.

მომდევნო დღეს მე თბილისს ვბრუნდებოდი, მიხოკი სანკტ-პეტერბურგს. იგი იქ შეუერთდებოდა ისრაელის პრეზიდენტის დელეგაციას.

მომდევნო კვირაში ისრაელის პრეზიდენტი მომეკაცავი მოსკოვს, და თბილისს უნდა სწვოდა. შაბათი ცური შეეცადა (და მიაღწია კიდევ მიზანს – იგი მმართველი პარტიის „ლეკულის“ ცეკას წევრი გახლდათ!) მიხო მირილაშვილი ყოფილიყო იმ დელეგაციაში, რომელიც ისრაელის პრეზიდენტს უნდა ხლებოდა თან. ეს იმას ნიშნავდა, რომ მიხო მირილაშვილი, როგორც პრეზიდენტის დელეგაციის წევრი, თბილისშიც ჩამოვიდოდა. დაგეგმილი იყო ისრაელის პრეზიდენტის სტუმრობა თბილისის დიდ ბეთ ქნესეთში. მიხო მთხოვა ასეთი რამ:

– იდეის პრეზენტაცია ისევე უნდა გაკეთდეს თბილისში, როგორც თელ-ავივში გავაკეთეთ, ამიტომ იქნებ, ნინასწარ მიიღო ზომები, რომ პრეზიდენტ მომეკაცავის ბეთ ქნესეთიდან ნასვლის შემდეგ, ჯამაათი დარჩეს და ვესაუბროთ, ყველაფერში კარგად გავარკვიოთ.

მე ეს დავალება საიმოვნებით მივიღე.

შემაზრუნე იწმორაცია

საქართველოში მომეკაცავის ვიზიტის თაობაზე ადრევე ვიცოდით – ამას საინფორმაციო საშუალებები იუწყებოდნენ. ამით გახლდათ განპირობებული ის, რომ 8 იანვარს საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს (იგი ყოველ ორშაბათ დილას მართავდა პრეს-კონფერენციას ქართული და უცხოური პრესისათვის) ერთი შეკითხვა დავუსვი. აი, რას ვკითხულობთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2001 წლის 9 იანვრის, ასევე გაზეთ „მენორას“ პირველ ნომერში.

„8 იანვარს გაზეთ „მენორას“ რედაქტორმა ერთი კითხვით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს:

– გავრცელდა ინფორმაცია, რომ ასლო მომავალში საქართველოს ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა ისრაელის პრეზიდენტი მომეკაცავი. რა იქნება თქვენი შესვლარებისა და მოლაპარაკებების უმთავრესი თემა? მოსალოდნელია თუ არა ასალი მიმართულება ორი ქვეყნის ურთიერთობაში?

ედუარდ შევარდნაძე:

„– ეს ვიზიტი გაიმართება. ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ისრაელის პრეზიდენტის ვიზიტს საქართველოში. ისრაელისა და საქართველოს ინტერესები ძალიან ბევრ სფეროში ემთხვევა ერთმანეთს. ჩვენ დიდი გამოცდილება შეგვიძინეთ და ჩვენი ურთიერთობის გაფართოებას დიდი პერსპექტივა აქვს. იმისათვის, რომ ნათლად გამოიკვეთოს სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივა, აუცილებელია მაღალი დონის შეხვედრა. მიმანია, რომ შემეძლია გამოცდილების საფუძველზე უნდა გაიმართოს კონსულტულური საუბარი და გაეცინათ, როგორი უნდა იყოს უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში საქართველოსა და ისრაელის ურთიერთობა. გარდა ამისა, როგორც ჩემთვის ცნობილია, ბატონი მომეკაცავი ბიზნესმენთა და ინვესტორთა დიდი ჯგუფის თანხლებით ეწვევა ჩვენს ქვეყანას. ისინი დაინტერესებული არიან საქართველოსთან ეკონომიკური ურთიერთობისა და ბიზნესის განვითარებით, ერთობლივი პროექტების განხორციელებით. ეს იქნება ამ ვიზიტის დროს ერთ-ერთი ცენტრალური დონისმიება.

საკულისხმოა, რომ მე და ბატონ კაცავს შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს არა მარტო თბილისში, იუბილეს დღეებში მის სტუმრობასა და მის შესვლარებს ვგულისხმობ. იგი ძალიან საინტერესო და საქმიანი პიროვნებაა, რომელსაც აინტერესებს ჩვენს ქვეყანასთან ურთიერთ-

ბის განვითარება“.

ჩემს შეკითხვაზე საქართველოს პრეზიდენტის პასუხი, როგორც ხედავთ, გამსჭვალულია ისრაელის პრეზიდენტისადმი პატივისცემით. ბ-ნი ედუარდი შორსმხედველი პოლიტიკოსია და კარგად იცის, თუ როგორი ტონი მისცეს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას.

ჯერ კიდევ ისრაელში გამგზავრებამდე შევეცადე იერუსალიმში შევხვედროდი ისრაელის პრეზიდენტ მომეკაცავს და ჩამეტარებინა მასთან ინტერვიუ. მოლაპარაკება ოფიციალური არხებით მიდიოდა. ძალიან მეხმარებოდა ისრაელის ელჩი საქართველოში ეჭუდ ეითამი – ერთობ ღირსეული პიროვნება და ჩინებული დიპლომატი. ამ შეხვედრის სადარაჯოზე მეორე მხარესაც უკვე ნაცადი დიპლომატი, შესანიშნავი მეცნიერი, ისრაელში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე იდგა. ისრაელში 14 იანვარს ჩავფრინდი. შეხვედრა დაინიშნა. ოპერატორები შაბათი ცურის მეოხებით „ვიმოვე“ – მან ორი ოპერატორი გამომიგზავნა – ისიც მითხრა, შენ არაფერი გადაუხადო, ყველა საკითხი უკვე მოგვარებულია. (სამწუხაროდ, ამ ოპერატორების ნამუშევარი არცთუ ხარისხიანი აღმოჩნდა, ფირზე ჩანერილი ინტერვიუ დეფექტით ხასიათდებოდა.) თარჯიმნობა ჩვენს დიდ მეგობარს – მარინა შაოშვილს ვთხოვე. მარინა თავადაც ჩინებული ჟურნალისტი, ჯერ საქართველოში ტელევიზიის პირველ არხზე მუშაობდა, ისრაელშიც ჟურნალისტური მოღვაწეობა გააგრძელა. იგი ყოველთვის გულსხმიური გახლდათ. 1995 წელსაც საქართველოს პრეზიდენტის – ედუარდ შევარდნაძის ისრაელში ვიზიტის წინ – ბატონი პრეზიდენტის პრესმდივან რეზო ევაძესა და მე პრემიერ მინისტრ იცხაკ რაბინთან ინტერვიუს აღებისას ასევე მარინა გვშველოდა.

პრეზიდენტ მომეკაცავთან საუბარი მის სამუშაო კაბინეტში შედგა.

თბილისში დაბრუნებულმა ეს ინტერვიუ „რუსთავი-2“-ს გადავეცი. (ტექსტი დაიბეჭდა გაზეთ „მენორაში“). თბილისის დიდი სალოცავის გაბაის იოსებ დავითაშვილს შეუვთანხმდი, რომ მომეკაცავთან შეხვედრის შემდეგ ჯამაათს დავტოვებდი და მიხო მირილაშვილი საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის შექმნის საკითხზე ისაუბრებდა მასთან. თავს ერთობ მშვიდად ვგრძნობდი, ყველა საკითხი მოგვარებული მქონდა, 23 იანვარს ნაშუადღევს შინ რომ დავბრუნდი, მიხო მირილაშვილს დავურეკე, გადავეცი, რომ ყველაფერი რიგზე იყო – მომეკაცავი საქართველოს პრეზიდენტთან ბ-ნი ედუარდ შევარდნაძესთან ერთად მოვა ბეთ ქნესეთში, მათ ექნებათ მისასალმებელი გამოსვლები, როცა ბეთ ქნესეთს დატოვებენ, ჩვენ შევძლებთ ჯამაათთან საუბარს-მეთქი.

მიხო მადლობა გადამიხადა.

სულ რაღაც ნახევარი საათის, ან იქნებ, ორმოცი წუთის შემდეგ გამახსენდა, რომ მიხოსთან საუბრისას ერთ საკითხზე შეთანხმება დამავიწყდა, ისევე გადავურეკე, ტელეფონი არ პასუხობდა, მერე მომეჩვენა, რომ ყურმილში ვიღაცამ რუსულად რაღაც ჩაიბურტყუნა და ვათიშა კიდევ. არაფერი განსაკუთრებული ამაში არ დამინახავს, მოგვიანებით გადავურეკე-მეთქი.

მოგვიანებით კი... ჩემმა ძმამ – მალხაზმა დამირეკა მიხო მირილაშვილი დაუპატიმრებიათო.

ეს იყო თავზარდამცემი ცნობა. უცებ გამახსენდა 29 დეკემბერს მიხოს ოფისში გუბერნატორის სატელეფონო ზარი და... წყალნაღებელი ხავსს ეჭიდებოდა, საკუთარ თავს მივიჩნევდი ბრალეულად, მიხოს ჩემი შეუფოთება რატომ არ გავუზიარე-მეთქი. თუმცა, კიდევ გამეზიარებინა, დარწმუნებული ვარ, არაფერი შეიცვლებოდა, სრულიად არაფერი! თავად მიხო მირილაშვილი საკმაოდ რეალისტურად მოაზროვნე კაცია და სიცხადით აფასებს მოვლენებს.

სწორედ იმ დღიდან ამეკვიცა ფიქრი, რომელზეც ზემოთ ვწერდი: სად იკარგება სიკეთე, სად იკარგება მადლი? ამ საყვედურნარევი კითხვაზე პასუხი უკვე მოგახსენებდა ახლა მასზე არ შევჩერდები. მაგონდებოდა პარასკევ საღამოს სედერი, ქ-ნი დოდოსა და ბატონი მიშკოს გაბრწყინებული სახეები და გული სევდით მევესებოდა.

ახლა კი ადამიანის სისუსტეზე უნდა ვთქვა ორიოდ სიტყვა: მომდევნო დღით, 24 იანვარს, შეთანხმებისამებრ ჩემთან სახლში მოვიდა ცნობილი ჟურნალისტი ნინო ქავაჩა, ინტერვიუ უნდა ჩაენერა. ვიდრე ოპერატორი აპარატს გადავუბრუნებდი მოამზადებდა, მეკითხება: „იცნობთ თუ არა ოლიგარქ მიხეილ მირილაშვილს, რომელიც გუშინ დააპატიმრეს და რას გვეტყვი მასზე?“ მყისვე მივუგე „არა, არ ვიცნობ-მეთქი.“ მივუგე და... დავიბენი კიდევ. „რატომ, რისთვის ვიუარე მიხოსთან ნაცნობობა?“ იმ-



მიხეილ (მიხო) მირილაშვილი

დენად დავიბენი, გულახდილად ვიტყვი: ინტერვიუც (მომეკაცავზე, ქართულ-ებრაულ ურთიერთობაზე) ერთობ დაბურღული გამოვიდა. სათქმელს ვერაფრით ვერ მოვაბი თავი. ინტერვიუს შემდეგ ისრაელის საელჩოში მივდიოდი, ნინო ჩემი მანქანით წავიყვანე ტელევიზიაში, მანუხებდა ის, რომ მიხოს ნაცნობობა ვიუარე და ნინოს ვუთხარი: „ვიცნობ, ძალიან კარგად ვიცნობ მიხეილ მირილაშვილს, გუშინ ველაპარაკე კიდევ და ვგონებ, მე ვიყავი ერთ-ერთი ბოლო ადამიანი, ვისაც დაკავებამდე ესაუბრა. მერე ტელეფონი აღარ პასუხობდა“. ნინომ გაიღიმა და მომიგო: „მიხვდი, თქვენ ისე მითხარით არ ვიცნობო, იქვე მიხვდი ყველაფერს“. იგი ქალია, თანაც ჩინებული ჟურნალისტი და ვერაფერს გამოაპარებ – იმასაც მიხვდა, რომ საბჭოეთში გაზრდილი კაცის ფსიქიკა ინერციით მომდევნა და ამან მათქმევინა უარი. მთავარი ალბათ, მაინც ის იყო, რომ არ მენადა ეკრანიდან მესაუბრა ამ საკითხზე: მე ხომ ფაქტიურად არ ვიცოდი, თუ რატომ დააპატიმრეს იგი.

მიხოს დაპატიმრება შემაზრუნე ცნობა იყო. რა შეგვეძლო ჩვენ გაგვეკეთებინა? ალბათ, ვერაფერი, თუმცა, ქართველ ებრაელობას, ალბათ, მაინც უნდა გველონ რაიმე, გადავწყვიტეთ, წერილით მიგვემართა მომეკაცავისათვის – მიხო ხომ ისრაელის მოქალაქეც გახლდათ, დაინტერესებულიყო ამ ღირსეული ქველმოქმედის ბედით. პრეზიდენტისადმი წერილს საქართველოს ებრაელობის რამდენიმე წარმომადგენელი ვაწერდით ხელს.

25 იანვარს დილით ბ-ნი ედუარდ შევარდნაძე და ბ-ნი მომეკაცავი ბეთ ქნესეთში მობრძანდნენ. ორივემ ერთობ გულთბილი სიტყვები წარმოსთქვეს – ისეთი, როგორც ეკადრებათ მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ერების ლიდერებს. ილაპარაკა მთავარმა რაბინმა არიელ ლევიმმა, ხახამმა დავით აზიზოვმა. მომეკაცავს გასვლისას მივუახლოვდი და ვუთხარი, საქართველოს ებრაელობა ძლიერ ვწუხვართ მიხეილ მირილაშვილის ბედის გამო და დახმარებას გთხოვთ-მეთქი.

– ანი იოდეა, იოდეა! (ვიცი, ვიცი) – მომიგო ბ-მა პრეზიდენტმა და წერილი გამომართვა.

ბ-მა ედუარდ შევარდნაძემ ყველაფერი დაინახა, ვგონებ, მიხვდა, რასაც ვუბნებოდი და ვთხოვდი ისრაელის პრეზიდენტს და გაიღიმა (რამდენი ასეთი ხასიათის წერილი გადაუციათ მისთვის!) მე მაინც ვუთხარი:

– ერთი ღირსეული კაცის გამო ვთხოვთ დახმარებას.

– ვიცი, ყველაფერი ვიცი – ჩაილაპარაკა და გზა განაგრძო.

იმ საღამოს ბ-მა პრეზიდენტმა ისრაელის პრეზიდენტის საპატივცემო ვახშამი გამართა. ვიდრე ვახშამი დაიწყებოდა, ორი პრეზიდენტის მოლაპარაკება გაიმართა. ბატონი ბადრი პატარაკაციშვილი და მე კიბის თავში ვიდევით, მოლაპარაკების დასრულების მოლოდინში სწორედ მიხოს დაპატიმრებაზე ვსაუბრობდით. იგი წუხილს გამოსთქვამდა ამ ფაქტის გამო. მოლაპარაკებაც მალე დამთავრდა. ბატონი ედუარდ შევარდნაძე მისთვის რჩეული ჩქარი ნაბიჯით გამოვიდა დარბაზიდან, კიბის თავში მოსაუბრენი რომ დავგინახა, შესძახა:

– შალომ! – მერე მე მომიბრუნდა – კარგად ილაპარაკე წუხელ! (წინა ღამეს „რუსთავი-2“-ს ტელეეთერში დილოგი მქონდა ეკა ბერიძესთან და როცა მწერალთა კავშირის ირგვლივ შექმნილ სიტუაციაზე მკითხეს, მოულოდნელი – „რუსთავი-2“-ის პოზიციის სრულიად საპირისპირო – პასუხი გავეცი. ალბათ, ამას გულისხმობდა ბატონი პრეზიდენტი) მერე ორივეს დავგაცქერდა, თითქოს იმის ამოცნობას ლამობდა, რაზე ვსაუბრობდით, ვგონებ, ამოიცნო კიდევ და ხმადაბლა თქვა – წავიდეთ!

(გაგრძელება იქნება)

როგორ ვცხოვრობდით 5772 (2011-12) წელს

გაზეთ „მენორას“ ზუბლიკაციების მიხედვით

საქმეზარი

დაიბეჭდა ისრაელის პრეზიდენტის შიმონ პერესის მილოცვა ებრაული დიასპორისადმი ახალ, 5772 წლის დადგომასთან დაკავშირებით.

ქართველ ებრაელებს რომ ჰაშანა ასევე მიულოცა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩმა ისრაელში ვახტანგ ჯაფარიძემ.

თბილისის ბეით ქნესეთის გაბაი ფირუზ კოჩოზაშვილი და რაბი რახამიმ მორდოხაშვილი საუბრობენ, თუ როგორ ხვდება ჯამაათი რომ ჰაშანას.

დაიბეჭდა შალომ დავიდის ნაშრომი „წინასწარმეტყველები და წინასწარმეტყველური ლიტერატურა“.

გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის და ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის დელეგაციის შეხვედრა. განხილვის თემა — გაეროს სხდომაზე პალესტინის საკითხის განხილვა.

იბეჭდება შოთა ბოსტანაშვილის სტატია „ახალციხელების ლოცვა შთამომავალთა ხელში“.

თბილისში გაიმართა კაბალისტების შეხვედრა.

16-17 სექტემბერს თბილისში იმყოფებოდა ისრაელის „კლიპას ვიზუალური თეატრი“, რომელმაც საერთაშორისო ფესტივალზე კ. მარჯანიშვილის თეატრში წარმოადგინა სპექტაკლი „ობსერვატორია“.

იბეჭდება 2011 წლის 23 სექტემბერს გაეროს ასამბლეაზე ბინიამინ ნეთანიასთან გამოსვლის სრული ტექსტი.

სრულდება შალომ დავიდის ნაშრომი „წინასწარმეტყველები და წინასწარმეტყველური ლიტერატურა“.

ნინო შავაძის სტატიაში „დავით ეფრემაშვილი: შევძელით ქართული სულის წარმოჩენა!“ საუბარია ისრაელის ქალაქ ბეერ-შევაში მოღვაწე ქართული ანსამბლის თბილისში გასტროლის შესახებ.

„უყურე, რათა დაინახო!“ მსოფლიო მედია სივრცეში პირველმა ებრაულმა საინფორმაციო არხმა დაიწყო მაუწყებლობა.

დაბა სურამში სინაგოგა განახლდა, ამ დღეს სურამში ებრაული ჯამაათი იმყოფებოდა.

ოქტომბერი

4-7 ოქტომბერს უკრაინის რადაში მარინე სოლომონიშვილის ნახატების გამოფენა — „ჰოლოკოსტი“ გაიმართა.

იბეჭდება სტატია „18 ქართველი ებრაელის ხსოვნის უკვდავსაყოფად“.

ისრაელის საელჩოში გაიმართა ბრიფინგი, რომლის თემა ისრაელის საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამა „მაშავის“ მიერ ორგანიზებული კურსები იყო.

ბეით ქნესეთის გაბაი ფირუზ კოჩოზაშვილი საუბრობს ბეით ქნესეთში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შესახებ.

დაიბეჭდა ნინო შავაძის სტატია „ჩინებული წამოწყება გრძელდება“, რომელშიც საუბარია 28 ოქტომბერს თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დარბაზში გამართულ პოეზიის საღამოზე. ჩატარდა პრეზენტაცია ნიგნისა „სულიერების ორი ქვეყანა“.

ნოემბერი

სტატიაში „სტალინის იმდენი სიკეთე აქვს გაკეთებული ებრაელი ხალხისთვის, რომ თვით ბიბლიურ მოსესაც შეშურდებოდა“ პუბლიცისტი თემურ მირიანაშვილი გვესაუბრება სტალინისადმი წაყენებულ კიდევ ერთ ცრუ ბრალდებაზე — ანტისემიტიზმზე.

ცნობილი პლასტიკური ქირურგი გაბი ელამვილი საქართველოში იმყოფებოდა, მას „მენორას“ კორესპონდენტი შეხვდა და თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ესაუბრა.

„მენორას“ ოცდამეორე ნომერში იბეჭდება შოთა ბოსტანაშვილის მესამე ნერილი „ლოცვის კართან“.

თავის სტატიაში გურამ ბათიაშვილი საუბრობს ერთი სანაქეო წამოწყების თაობაზე, რომელიც 18 ქართველ ებრაელს ოჯახის მიერ გაეროსადმი გაგზავნილი წერილის ავტორთა ხსოვნის უკვდავსაყოფად ისრაელში გამართულ ღონისძიებებს ეხება.

თბილისის ბეით ქნესეთს ეწვივნენ რაბინები

ისრაელიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან, მათ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოინახულეს.

დაიბეჭდა ხორხე ლუის ბორხესის ნერილი „კაბალა“.

დაიბეჭდა ესთერ ანტოშვილისა და აპარონ მდინარაძის ნერილი „სტუმართმოყვარეობის მიცვა“.

ბაკურიანში გაიმართა ბავშვთა საშემოდგომო ბანაკი „შაბატონი“.

თბილისში იმყოფებოდა მეცნიერი, არიელის უნივერსიტეტის პროფესორი რეუვენ ენოხი, იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ ქართველოლოგიის სიმპოზიუმში იღებდა მონაწილეობას.

დეკემბერი

„მენორას“ 23-ე ნომერში დაიბეჭდა გურამ ბათიაშვილის სტატია, რომელშიც საუბარია რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის გათავისუფლების შესახებ.

აირჩიეს ევრ-აზიის ებრაელთა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ვადიმ შულმანი.

19 ნოემბერს სასტუმრო „ბაზალეთში“ ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ისრაელიდან ჩამოსული რაბინების პატივსაცემად გაიმართა საზეიმო ვახშამი, რომელზეც არიელ ლევიმ მთავარი რაბინის პოსტიდან გადადგომა გამოაცხადა.

ისრაელში, საქართველოს საელჩოში გაიმართა მწერლისა და დრამატურგის გურამ ბათიაშვილის წიგნების „ჩანაწერები“ („სახეები და სიტუაციები“) და „მოქმედი პირნი და შემსრულებელნი“ (დოკუმენტური პიესები) წარდგინება.

„მენორას“ 2012 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა შოთა ბოსტანაშვილის ნერილი „მე — რაბი (ესა და ეს)“.

რუბრიკაში „ჩვენი საგანძური“ ხელოვნებათმცოდნე ლელა წინუაშვილი საუბრობს ებრაული კულტურის შესახებ.

ილია მოსიაშვილს 75 წლის იუბილეს ულოცავენ ებრაული ჯამაათის წარმომადგენლები.

დაიბეჭდა ალექსანდრე შენგელიას ნერილი „კვლავ წინ და მაღლა!“.

7 დეკემბერს ებრაულ სახლში ნათან ბააზოვმა ჩაატარა საღამო — „მამარჩემისა და სტალინის ქალიშვილის შესახებ“.

იანვარი

13 იანვარს თბილისში ებრაულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრში გაიმართა პრეზენტაცია გზამკვლევისა — „თბილისის სინაგოგები“.

27 დეკემბერს ხანუქის დღესასწაულის ბოლო დღეს „თავისუფალ თეატრში“ „ჯოინთის“ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორმა ელენე ბერკოვიჩმა ხანუქის დღესასწაული გამართა.

ისრაელში ელჩად ინიშნება არჩილ კეკელია.

„მენორას“ მეორე ნომერში დაიბეჭდა ისრაელში ახლად დანიშნული საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის — არჩილ კეკელიას ბლიცინტერვიუ.

სტატიაში „მეორე მსოფლიო ომში ებრაელთა კატასტროფის დღე — 27 იანვარი მრავალ ქვეყანაში აღინიშნა“ საუბარია თუ როგორ აღნიშნეს ეს დღე სხვადასხვა ქვეყნებში.

რუბრიკაში, „ჩვენი საგანძურის თაობაზე“, რომელსაც ხელოვნებათმცოდნე ლელა წინუაშვილი უძღვება, საუბარია ქართველი მხატვრის

დავით გველესიანის მიერ შესრულებულ შალომ კობოშვილის პორტრეტზე.

სოსო აჯიაშვილი წარსულში ბანძაში მომხდარ ერთ-ერთ ეპიზოდს იხსენებს.

25 იანვარს ებრაულ სახლში ნათან ბააზოვმა ჩაატარა საღამო, რომელიც მის რეპრესირებულ წინაპრებს — დავით და გერცელ ბააზოვებს ეხება.

ამავე ნომერში დაბეჭდილ სტატიაში „კომმარნი უკან დარჩა“ ზეევ ფრენკელი პატიმრობის დღეებს იხსენებს.

ქვეყნდება რონი ფუქსის დღიური.

„მენორას“ მესამე ნომერი იწყება, რომ თბილისში ისრაელის საელჩოსთან აღმოაჩინეს ასაფეთქებელი ნივთიერება.

იბეჭდება შოთა ბოსტანაშვილის მეექვსე ნერილი „ლოცვა ც/არიელია“.

რუბრიკაში „ჩვენი საგანძურის თაობაზე“ ლელა წინუაშვილი განიხილავს ამუღეტის თემატიკით გაერთიანებულ ოთხ ექსპონატს.

26 იანვარს რუსულენოვან ებრაელთა მსოფლიო კონგრესმა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მოძრაობამ „მსოფლიო ნაციზმის გარეშე მოსკოვში ჩაატარა საერთაშორისო კონფერენცია: „ალარასოდეს: ჰოლოკოსტი, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული — საუბარი შეუწყნარებლობის, რასიზმის, ექსტრემიზმისა და ანტისემიტიზმის წინააღმდეგ“.

23 იანვარს ქართველ ებრაელ ბიზნესმენთა თაოსნობით მოსკოვში ახალი სალოცავი — „პატარა სალოცავი სახლი — შალომი“ გაიხსნა.

თებერვალი

„მენორას“ მეოთხე ნომერი ებრაელებს სასწაულის დღეს — ფურიმს ულოცავს.

გამოქვეყნდა შოთა ბოსტანაშვილის მეშვიდე ნერილი — „გველიან დიდი მოლოდინით... ამიტომ ვერ მივედით“.

რუბრიკაში „ჩვენი საგანძურის თაობაზე“ ხელოვნებათმცოდნე ლელა წინუაშვილი საუბრობს ორი ფაროხეთის შესახებ, რომლებიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული.

საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II ერთი კვირა ისრაელში იმყოფებოდა, მას თან ახლდა მრავალრიცხოვანი მრევლი.

პატრიარქს გულთბილი შეხვედრა მოუწიეს ქართველმა ებრაელებმა.

დაიბეჭდა გურამ ვაჩაძის მიერ 2011 წლის 1 ნოემბერს ამბროლაურის სახალხო თეატრის სცენაზე წარმოქმნილი სიტყვა.

დაიბეჭდა საქართველოში „ჯოინთის“ პირველი წარმომადგენლის — მენახემ ელაზარის ინტერვიუ მისი მოღვაწეობის შესახებ.

გამოქვეყნდა ნუგზარ კოპალიანისა და როსტომ ცხვედიანის სტატია „ებრაელები ლეჩხუმში (ლაილაში)“.

26 თებერვალს რესტორან „თეთრი სახლის“ ბაზაზე გაიხსნა რესტორანი „თბილისი—თელ-ავივი“.

მარტი

„მენორას“ მეხუთე ნომერში საუბარია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის იერუსალიმში ვიზიტის შესახებ.

დაიბეჭდა შოთა ბოსტანაშვილის მეშვიდე ნერილი „გან(ყ)ედენი კულაში... არ ვიმაღლები“.

„ხესედ ელიაჰუს“ 15 წლის იუბილესთან დაკავშირებით „მენორას“ კორესპონდენტი მის დირექტორს რევაზ შათაშვილს შეხვდა და „ხესედ ელიაჰუს“ მოღვაწეობის შესახებ ესაუბრა.

6 მარტს ებრაულ სახლში „ხესედ ელიაჰუს“ 15 წლის იუბილე აღნიშნეს, ღონისძიებას ჯამაათის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გამოქვეყნდა სტენლი აბრამოვიჩისა და სემკის პრეზიდენტის გაბრიელ მირილაშვილის „ხესედ ალიაჰუსადმი“ მისალოცი ნერილები.

დაიბეჭდა გურამ ბათიაშვილის ნერილი „სიყვარულის შვილები, ანუ რა დაიწყო კედემის ძეთა ქვეყანაში?“

28 თებერვალს აშდოდსა და ბათუმს შორის დაძმობილების ხელშეკრულებას მოეწერა ხელი.

„მენორას“ 6 ნომერში საქართველოში ისრაელის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი იცხაკ



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს შეხვედრა ისრაელის ქართველ ებრაელებთან

რას ვკითხვართ ულოპო
ამ კვირაში?
რუბრიკას უძღვება საქართველოს
მთავარი რაბინი
აბიშაი ბათაშვილი

კ
ს
ა
რ
ი
ც
ა
ს
ხ



ჩვენს ფარაშიში თორა მოგვითხრობს იააკოვის ბრძოლის ამბავს ანგელოზთა, ესავის ზეციურ ვეზირთან. როდესაც ანგელოზმა დაინახა, რომ ვერ დაძლია იააკოვი, ბარძაყის სახსარზე შეეხო, რის შედეგადაც იააკობი დაიჭრა და დაუოქლდა. ანგელოზმა ზეცაში ასვლა რომ დააბირა, იააკოვმა ხელი ჩასჭიდა მას, რადგან არ უნდოდა მისი გაშვება. მან ჰკითხა ანგელოზს: „რა გქვია?“ მიდრამი მოგვითხრობს, რომ ანგელოზმა უპასუხა მას, რომ ყოველდღე მისი სახელი იმ დღის საქმეების მიხედვით იცვლება

და რომ მას ედემის ბაღში მიეჩქარება, რათა ღმ-ის საგალობელი უძღვნას. იააკოვი არ ეშვება და კურთხევას სთხოვს მას, ანგელოზი ეუბნება: „იააკოვი აღარ გერქმევა შენ ამიერიდან, არამედ ისრაელი“. არა მხოლოდ იააკოვი იქნება შენი სახელი, დამატებით „ისრაელი“ გეწოდება და ამიტომ ებრაელი ხალხი, იააკოვის სახელზე, ისრაელის ერად იქნა წოდებული. ესე იგი, მთელი ისრაელის ერის იააკოვის სახელით წოდებას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. და მიუხედავად ამისა, როგორც ვხედავთ, იააკოვისთვის დამატებითი სახელის „ისრაელის“ წოდების შემდეგაც თორა ჯერ კიდევ ხმარობს სახელს იააკოვს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ ებრაელს ორი ზოგადი მდგომარეობა აქვს ცხოვრებაში. ზოგჯერ ის „ისრაელი“ მდგომარეობაში იმყოფება, რაც უფრო ამაღლებული სახელია, როგორც წერია, რომ სახელი „ისრაელი“ „זאח" შედგება სიტყვებისგან „זאח י" („მე თავი“), რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაგალითისთვის ავიღოთ ებრაელი, რომელიც სულ იერად ისევე მაღალ საფეხურზე იმყოფება, როგორც მაგალითად ებრაელი, რომელიც შაბათს სრულიად მოწყვეტილია ყოველდღიურ მატერიალურ საზრუნავს და ლოცვისა და თორის სწავლითაა დაკავებული, როგორც წერია: „შაბათი

და დაისვენებს“. ზოგჯერ კი არის მდგომარეობა, როდესაც ებრაელი „იააკოვის“ - სიტყვიდან) "זאח זאח" „ფენის ქუსლი“) - საფეხურზე იმყოფება, რაც ისევე დაბალ საფეხურს გამოხატავს, რომელ საფეხურზეც ებრაელი კვირის დანარჩენ დღეებში იმყოფება, როდესაც მას მუშაობა და მატერიალურ საკითხებზე ზრუნვა მოეთხოვება.

ჩვენ, საქართველოს ებრაელებს ჩვენ გაგაქვს მოცაე შაბათის წინ „ალთირა ყავდი იააკოვ“ („ნუ გეშინია, ჩემო მონავ, იააკოვ“) ვიმღეროთ. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ვიდრე ებრაელი ჩვეულებრივი კვირის დღეების საქმიანობას და ამქვეყნიური ცხოვრების სიძნელეებთან გამკლავებას დაიწყებდეს, ეუბნებიან მას: „ნუ შეგაშინებს ის ფაქტი, რომ ბოროტ მიდრეკილებასთან ბრძოლა მოგიწევს, რადგან ძალას გაძლევენ მაშინაც, როდესაც შენ „იააკოვის“ საფეხურზე იმყოფები და სულიერი სიძნელეების დაძლევისთანავე ჩიდილი გიწევს“.

აქედან ვსწავლობთ, რომ კურთხეული უფალი ღმ-თი ყოველთვის აძლევს ძალას ნებისმიერ ებრაელს იმ სიძნელეებისა და მცდელობების დასაძლევად, რომელთაც ცხოვრება უმზადებს მას, რათა თორასა და მიცვების შესრულებაში გაძლიერდეს. შაბათ შალომ უმეგორას!

გერბერგი ებრაელ ერს ფესახს ულოცავს. ფესახს ასევე ულოცავენ „ჯოინთის“ წარმომადგენელი საქართველოში დავით ზოჰარი, სამხრეთ კავკასიაში ებრაული სააგენტოს წარმომადგენელი ავი ოფირი, „ხესედ ელიაჰუს“ დირექტორი რევაზ შათაშვილი, საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელი ავიმელეხ როზენბლატი.

ინწყება იცხაკ დავიდის „ქართული პალესტინიანა“-ს ცალკეული თავების ბეჭდვა. ამავე ნომერში გამოქვეყნდა პროფესორ ალან ნეიდლერის სტატია „სატმარის გამოცანები“. ბეით ქნესეთის გაბაი ფირუზ კოჩობაშვილი საუბრობს ფესახის სამზადისის შესახებ. გამოქვეყნდა ტულუზაში ებრაულ სკოლასთან არაბი ტერორისტის მიერ მოკლული ბავშვების მშობლის მიმართვა ებრაული სამყაროსადმი.

აპრილი
„მენორას“ მეშვიდე ნომერში დაიბეჭდა მიხეილ სააკაშვილის ებრაელებისადმი ფესახის მილოცვის ტექსტი. 6 აპრილს ბეით-ქნესეთში თბილისის მერი გიგი უგულავაც იმყოფებოდა და ებრაელ ხალხს მონობიდან გათავისუფლების დღესასწაული მიულოცა. 5 აპრილს რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე წარმოდგენილ იქნა ბათუმის მოზარდთა თეატრის დევიდ ზან მაიროვიცის პიესის „აუშვიცი — ფერფლის პლანეტა“ მიხედვით დადგმული სპექტაკლი.

დაიბეჭდა გურამ ბათიაშვილის მოთხრობა „როგორ იპოვა საკუთარი თავი იოსებმა ბელადის პორტრეტის ქვეშ“. 22 მარტს საქართველოს ისრაელში ახლადდანიშნულმა საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-ნმა არჩილ კეკელიამ რწმუნების სიგელები გადასცა ისრაელის პრეზიდენტს შიმონ პერესს.

მაისი
„მენორას“ მერვე ნომერი გვაუწყებს ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, 1 მაისს სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასში მიღება-კონცერტის ჩატარების შესახებ. 8 მაისს თბილისის „დამპალოს“ სასაფლაოს ღობის აღდგენა დაიწყო. მიმდინარე სამუშაოების შესახებ „მენორას“ კორესპონდენტი ამ საქმის ერთ-ერთ წამომწყებს და ორგანიზატორს ბეით-ქნესეთის გამგეობის წევრს სოსო აჯაიშვილს ეს-

აუბრა. აკადემიკოსი იცხაკ დავიდი კოლეგას გივი ღამბაშიძეს დაბადებიდან 70 წელს ულოცავს. გრძელდება იცხაკ დავიდის „ქართული პალესტინიანა“-ს ბეჭდვა. რუბრიკაში ებრაული თემა ქართულ მწერლობაში პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი აქვეყნებს სტატიას „ებრაულობა ქართულ საისტორიო და სასულიერო მწერლობაში“. დაიბეჭდა გურამ ბათიაშვილის წერილი „ქალბატონმა გენერალმა ვერ ივახშმა“. ქვეყნდება შალომ დავიდის სტატია „ქორწინებისა და სექსის არსი ებრაული მორალის თვალსაზრისით“.

დაიბეჭდა დანიელ ისრაელაშვილის სტატია „საქართველოს ალიის განახლების ისტორიიდან“. „მენორას“ მეცხრე ნომერში მერაბ ელაშვილს იუბილეს ულოცავენ ევრაზიის ებრაული კონგრესის გენერალური მდივანი, პროფესორი მიხეილ ჩლენოვი და გენერალური საბჭოს თავმჯდომარე იოსიფ ზისელისი.

ივნისი
ივნისის დამდეგს საქართველოს ისრაელის ქართველ ებრაელ რაბინთა მრავალრიცხოვანი დელეგაცია ეწვია. მათ შეხვედრები გამართეს ებრაელ ჯამაათთან. რუბრიკაში „ებრაული თემა ქართულ მწერლობაში“ დაიბეჭდა ავთანდილ ნიკოლეიშვილის სტატია ტიმოთე გაბაშვილის შესახებ. იბეჭდება შალომ დავიდის წერილი „ქორწინებისა და სექსის არსი ებრაული მორალის თვალსაზრისით“.

თბილისის ბეით ქნესეთის გაბაი ფირუზ კოჩობაშვილი საუბრობს ბეით ქნესეთის ყოველდღიურობის შესახებ. 18-20 მაისს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოლოგიაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა ისრაელიდან კოტე ლერნერმა და რეუვენ ენოხმა. თბილისში იმყოფებოდნენ ქნესეთის დეპუტატები ფაინა კირშენბაუმი და ორით ზუარეცი მათ „მენორას“ რამდენიმე შეკითხვას უპასუხეს. „მენორას“ მეათე ნომერში პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე საუბრობს საქართველოს საისტორიო არქივში აღმოჩენილი აკაკი წერეთლის ხელ-

ებრაული კულტურის ცენტრის ხანუშა



ნანერის — „დავითის გვირგვინის“ შესახებ. ივლისი

ივნისის მესამე დეკადაში თბილისში ოთხ დღეს იმყოფებოდა საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი გაბრიელ მირილაშვილი. დაიბეჭდა შოთა ზოსტანაშვილის — შემოქმედებითი ცხოვრების ქრონიკა.

რუბრიკაში ებრაული თემა ქართულ მწერლობაში ავთანდილ ნიკოლეიშვილმა წარმოადგინა თემა იოანე ბატონიშვილის „ხუმარსწავლა“ („კალმასობა“). ბეით ქნესეთის ეზოში ქაშერი ხორცის მაღაზია გაიხსნა.

შალომ დავიდი საუბრობს ქორწინებისა და სექსის არსზე ებრაული მორალის თვალსაზრისით.

აგვისტო
რუბრიკაში იცნობთ საქართველოს ებრაელობას? იურისტი და დიპლომატი ანზორ ბალუაშვილი „მენორასთან“ საკუთარი ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ საუბრობს. „მენორას“ მეთერთმეტე ნომერი გვაუწყებს, რომ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისრაელის ცენტრმა გამოსცა „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხების“ ოცდამეშვიდე ტომი — აღმოსავლური კრებული. რუბრიკაში ებრაული თემა ქართულ მწერლობაში დაიბეჭდა პროფესორ ავთანდილ ნიკოლეიშვილის წერილი „გიორგი ავალიშვილის „მგზავრობა“. დაიბეჭდა შალომ დავიდის ქორწინებისა და სექსის არსი ებრაული მორალის თვალსაზრისით.

საქსნის უაწყობა: ისრაელმა განაცხადა, რომ მიზანი მიღწეულია, „ჰამასი“ კი მაჰარჯუბას აღნიშნავს

21 ნომბერს, საღამოს, ახლო აღმოსავლეთის დროით 21:00 საათზე, გამოცხადდა ლაზას სექტორის გარშემო ცეცხლის შეწყვეტა: საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა წარმატებით დასრულდა, წერს NEWSru.co.il.

ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე იერუსალიმში ისრაელის ლიდერებმა პრესკონფერენცია მოინიშნეს. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის ფაქტი ოფიციალურად დაადასტურეს ისრაელის მთავრობის მეთაურმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ, თავდაცვის მინისტრმა ეჰუდ ბარაკმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ავიგდორ ლიბერმანმა და ასევე „ცახალის“ პრეს-სამსახურის უფროსმა იოვან მორდებამ.

კონფერენციაზე გამოსვლისას ბინიამინ ნეთანიაჰუმ აღნიშნა, რომ ისრაელის ხელისუფლებამ გადამწყვეტა ცეცხლის შეწყვეტით „ჰამასს“ მისცეს შანსი, „თუ ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს ისრაელელების ნორმალური ცხოვრების დაბრუნებას“.

ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ეჰუდ ბარაკმა განაცხადა, რომ ანტიტერორისტული ოპერაციის „ღრუბლის სვეტი“ მიზნები მიღწეულია: „ჰამასსა“ და „ისლამურ ჯიჰადს“ მიაღგა „მტკივნეული დარტყმა“. ბარაკმა გამოთქვა იმედი, რომ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას ყველა მხარე მკაცრად დაიცავს.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ავიგდორ ლიბერმანმა აღნიშნა, რომ ოპერაცია „ღრუბლის სვეტი“ ფაქტიურად იყო „სამგანზომილებიანი კომპანია“: საომარი, პოლიტიკური და განმარტებითი. ლიბერმანის შეფასებით, ეს კომპანია ორგანიზებული და კოორდინირებული იყო „სამივე ფრონტზე“.

სხვათა შორის, აშკელონში, სრედოთსა და კირიათ-მალახში გაიმართა დემონსტრაციები ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების წინააღმდეგ.

„ჰამასის“ რეაქცია

„ჰამასის“ ბოევიკებმა და ლაზას სექტორის სხვა დაჯგუფებებმა, როდესაც იერუსალიმში ისრაელის ლიდერები გამოდიოდნენ, საგრძობლად გაზარდეს სარაკეტო დაბომბვების ინტენსივობა. ეს პროცესი რამდენიმე საათი მას შემდეგაც გაგრძელდა, რაც შეთანხმება ფორმალურად ძალაში შევიდა. დაახლოებით 23:00 საათზე დაბომბვა შეჩერდა. „წინააღმდეგობის ისლამური მოძრაობის“ („ჰამასი“) პოლიტიკურის მეთაურმა ჰალედ მაშალმა 21 ნომბერს ქაიროში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ „ცახალის“ ოპერაცია „ღრუბლის სვეტი“ ლაზას სექტორში ისრაელის მარცხით დასრულდა.

მაშალის სიტყვებით, ისრაელმა ვერ შეძლო სექტორში დაჯგუფებების ინფრასტრუქტურის განადგურება და ამიტომ იძულებული გახდა ცეცხლის შეწყვეტის პირობები მიეღო.

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღების შემდეგ ლაზას სექტორში გამარჯვების დემონსტრაციები გაიმართა. როგორც სააგენტო „მანი“ იტყობინება, გამარჯვების აღნიშვნის დროს ლაზას ერთი მცხოვრები დაიღუპა, სამი კი — დაიჭრა.

„ღრუბლის სვეტი“: მიზნები, შედეგები და სტატისტიკა

ანტიტერორისტული ოპერაცია „ღრუბლის სვეტი“, რომელიც ბოევიკების „იზადინ ალ-ჰამასის ბრიგადების“ („ჰამასი“) ლიდერის აჰმად ჯაბარის განადგურებით დაიწყო, ერთი კვირა გრძელდებოდა (14-21 ნომბერი).

„ცახალი“ საჰაერო, საზღვაო და საარტილერიო დაბომბვებით შემოიფარგლა. საერთაშორისო მასობრივი საინფორმაციო საშუალებები სპეცრაზმის ლოკალური მოქმედებების შესახებ იტყობინება, მაგრამ სახმელეთო ოპერაცია, ათასობით რეზერვისტის განწვევის მიუხედავად, არ

ჩატარებულა. ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა არ ასახელებდა ამ ოპერაციის ზუსტ მიზნებს. ეჰუდ ბარაკის განცხადებიდან გამომდინარე, ოპერაციის მიზანი ლაზაში განლაგებული ტერორისტების ინფრასტრუქტურაზე საგრძობი დარტყმის მიყენება იყო. ასეთი დარტყმა ნამდვილად მიყენებულია. თუმცა, საგარეოდ, რომ ლაზაში მდებარე რაკეტების არსენალი, რომელსაც თელ-ავივამდე მიღწევა შეეძლო, მთლიანად არ არის განადგურებული. 14-21 ნომბერს პალესტინელმა ტერორისტებმა, ისრაელის არმიის მონაცემებით, ისრაელისკენ 1,506 რაკეტა გამოუშვეს. 421 რაკეტა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის „რკინის გუმბათის“ მიერ აფეთქდა. 4 ნომბერს ტერორისტებმა 7 რაკეტა გამოუშვეს, 15-ში — 316, 16-ში — 228, 17-ში — 237, 18-ში — 156, 19-ში — 143, 20-ში — 221, 21-ში — 130 რაკეტა.



შეთანხმების სრული ტექსტი

1. ისრაელი წყვეტს „წინააღმდეგობის“ ლიდერების „მიზნობრივ მკვლელობებს“, ასევე საომარ მოქმედებებს ზღვაზე, ხმელეთსა და ჰაერში.
2. ყველა პალესტინური დაჯგუფება ვალდებულია იღებს შეწყვეტის საომარი მოქმედება ისრაელის წინააღმდეგ, მათ შორის სარაკეტო დაბომბვები და დივერსიები საზღვარზე.
3. ცეცხლის შეწყვეტიდან 24 საათის შემდეგ გაიხსნება სასაზღვრო გამშვები პუნქტი ლაზაში, გამარტივდება ხალხის გადაადგილება და პროდუქტის შეტანა, ასევე უსაფრთხოების ზონაში დაშვებული იქნება მშვიდობიანი მოქალაქეების გადაადგილება.
4. მხარეების შემდეგი მოთხოვნები შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ განიხილება.

განხორციელების მიზანმიმართული

1. ცეცხლის შეწყვეტის მომენტიდან ძალაში შედის შეთანხმების ყველა პუნქტი.
2. ეგვიპტემ თავის თავზე უნდა აიღოს, რომ ორივე მხარემ მკაცრად დაიცავს შეთანხმების პუნქტები.
3. ორივე მხარემ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, რომ არ შეასრულებს არანაირ მოქმედებას, რომელიც შეთანხმების პუნქტებს დაარღვევს.
4. ყველა დანარჩენი მოლაპარაკება მხარეებს შორის ეგვიპტის შუამავლობით უნდა გაიმართოს.

ისრაელის 70% ცეცხლის შეწყვეტის წინააღმდეგ

ისრაელის ტელევიზიის მეორე არხმა ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ლაზაში მიმდინარე ცვალებადი პროცესების შესახებ.

ისრაელელებს სამი შეკითხვა დაუსვეს. პირველი: უნდა დათანხმდეს თუ არა ახლა ისრაელი ცეცხლის შეწყვეტას? 70%-მა უპასუხა: „არა“, 24%-მა „კი“ და 6%-მა უპასუხა „არ ვიცი“.

მეორე შეკითხვა: დაიცავენ თუ არა ზავს და თუ კი, რამდენ ხანს? 64%-მა უპასუხა, რომ ზავი ძალიან მოკლე დროის განმავლობაში შენარჩუნდება, 24%-მა უპასუხა, რომ საერთოდ არ შენარჩუნდება, 7%-მა განაცხადა, რომ ზავი დიდხანს გასტანს, 5%-მა კი „არ იცის“.

მესამე შეკითხვა: გაუმჯობესდა თუ გაუარესდა ისრაელელების შესაძლებლობები ტერორის შეკავების ოპერაციის „ღრუბლის სვეტი“ შედეგად? 58%-მა უპასუხა, რომ გაუმჯობესდა, 15%-მა რომ გაუარესდა, ხოლო 4%-ს ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი აზრი არ გააჩნია.

დაბაკვის თელ-ავივში ავტობუსის აფეთქებაში ეჭვმიტანილები

„შაბაკის“, პოლიციისა და „ცახალის“ ერთობლივი ძალისხმევით 22 ნომბერს ღამით დააკავეს დაჯგუფების მონაწილეები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ თელ-ავივში ავტობუსის აფეთქებაში იტყობინება საიტი MIGnews.com.

დაკავებულები დაკავშირებულნი აღმოჩნდნენ ტერორისტულ ორგანიზაცია „ჰამასთან“ და „ისლამურ ჯიჰადთან“ და უკვე აღიარეს ავტობუსის აფეთქებაში საკუთარი მონაწილეობა. მათი უმრავლესობა — რამალასთან ახლოს მდებარე სოფლის ბეთ-ლიკიას მაცხოვრებლები არიან. ამასთან ერთად, ტერაქტის უშუალო შემსრულებელი, რომელმაც ავტობუსში ასაფეთქებელი მოწყობილება ჩადო, ტაიბაში მცხოვრები ისრაელის მოქალაქეა. ადრე იგი ბეთ-ლიკიაშიც ცხოვრობდა და ისრაელის მოქალაქეობა ოჯახების გაერთიანების შედეგად მიიღო.


ტერორისტმა ასაფეთქებელი მოწყობილობა, აღმოსავლეთ იერუსალიმში მცხოვრები თავისი დამსაქმებლის ავტობუსში დაამონტაჟა. ბომბის დამონტაჟების შესახებ ტერორისტმა ბეთ-ლიკიაში თავის მოკავშირეებს შეატყობინა, რომლებმაც მოზილური ტელეფონის დახმარებით იგი მოქმედებაში მოიყვანეს იტყობინება NEWSru.co.il.

კეტა. პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის ისტორიაში ტერორისტები იერუსალიმისა და თელ-ავივის შემოგარენს პირველად ბომბავდნენ. დაბომბვის შედეგად ხუთი ისრაელელი დაიღუპა. სამედიცინო დახმარება 240 ადამიანს დასჭირდა.

დაღუპული ისრაელელების სახელებია: აარონ სამაჯა (56), იცხაკ ამსალემი (24), მირა შერფი (26), იოსეფ ფარტუკი (18, უმცროსი სერჟანტი), ალიან ნაბარი (29). ოპერაციის „ღრუბლის სვეტის“ მიმდინარეობისას იუდეასა და სამარიაში გააქტიურდნენ ექსტრემისტები. მოხდა ცალკეული ადამიანების საწინააღმდეგო რამდენიმე ტერაქტი. 20 ნომბერს თელ-ავივში ტერორისტმა საფრთხე შეუქმნა სამგზავრო ავტობუსს, რის შედეგადაც 20 ისრაელელზე მეტი დაიჭრა.

14-21 ნომბერს „ცახალი“ ლაზაში 1.500 ობიექტზე მიიტანა იერიში. პირველ ეტაპზე მთავარი ამოცანა გვირაბების და ირანული რაკეტების საწყობების განადგურება იყო.

განადგურებულიქნა რამდენიმე ათეული ლიდერი და „ჰამასის“ ბოევიკების საველე მეთაური. პალესტინური წყაროების მიხედვით, ლაზაში 170 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 1.200 დაიჭრა. არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორისაც, რაც იმით არის გამოწვეული, რომ ტერორისტული ინფრასტრუქტურის ობიექტები დასახლებულ უბნებშია განლაგებული. „ცახალის“ ცნობით, მოკლულია დაახლოებით 80 ტერორისტი, რამდენიმე მაღალჩინოსანი მეთაურის ჩათვლით.

დაგეგმვა და გამომცემელი: გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე თბილისი, ლეონიძის 11 ^ბ , ვახტანგ VI ქ. №30 ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57	რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს შიპრ. რეგისტრაციის № 4/1-921	რედაქტორი ბურამ ბათიაშვილი ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557  9771987898003
--	--	---